მარქსის სახ. საქ. სახელმწ. საჯარო ბიბლიოთეკა 3 თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ოთხშაბათი
19 იანვარი
1955 წელი
№ 6 (812)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-11 წელი

პატრიოტული აღმავლობა

საქართველოს სს რესპუბლიკაში დიდი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში დაიწყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. ქარხნებსა და ფაბრიკებში, დაწესებულებებსა და ინსტიტუტებში, კოლმეურნეობებში გაიმართა ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრებები. სიტყვით გამოსული მშრომელნი გამოხატავდნენ თავიანთ სიყვარულსა და ერთგულებას პარტიისა და მთავრობისადმი, მათი ბრძნული პოლიტიკისადმი. საბჭოთა ადამიანები აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გაორკეცებული ენერგიით იშრომონ საყვარელი სამშობლოს დიდებისათვის. თავდადებით იბრძოლონ მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის. წინასაარჩევნო კრებები ცხადყოფენ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის დიად ერთიანობას.

რესპუბლიკის მშრომელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად დაასახელეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, მოწინავე მუშები, მრეწველობისა და ტრანსპორტის ნოვატორები, სოფლის მეურნეობის მუშაკები, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი, საბჭოთა არმიის მეომრები.

ხალხმრავალ წინასაარჩევნო კრებებზე, რომლებიც გაიმართა კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოში, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში, მიქოიანის სახელობის ხორცკომბინატში და სხვა წარმოება-დაწესებულებებში პატრიოტული სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა ახალი გაზრდილი საწარმოო ვალდებულებები იკისრეს. ნოვატორმა ხარატმა ა. აგაჯანოვმა დისპეტჩერმა მ. ხიმშიაშვილმა, საკომპრესორო საამქროს მემანქანემ მ. დავითაშვილმა, ექიმმა ი. ქურჩიშვილმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ჩვენი დიადი სამშობლოს რჩეული ადამიანები.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივის კრებამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი პარტკომის მდივნის ვ. ნინოშვილის წინადადებას. ლენინის № 6 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი.

რესპუბლიკის სხვა წარმოება-დაწესებულებებში დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული იქნენ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი, ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი, ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი, პეტრე ნიკოლოზის-ძე პოსპელოვი, მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინი, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკი.

რესპუბლიკის მშრომელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მირონ დიმიტრის-ძე ჩუბინიძე, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის დირექტორი ნიკოლოზ სევერიანეს-ძე კიზივაძე, ნოვატორი მჭედელი კონსტანტინე მიხეილის-ძე ილურიძე, მოწინავე გადამხვევი მარიამ ნიკოლოზის ასული ოსკინა, 26 კომისრის სახელობის რაიონის პარტიის რაიკომის მდივანი სევერიან კაპიტონის-ძე ჩხარტიშვილი, ზეინკალი პავლე მიხეილის-ძე მუხიგულაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ილარიონის-ძე ჯანელიძე, მოწინავე მნგრეველი ერმაგონ მაქსიმეს-ძე ცნობილაძე და სხვ.

დაიწყო რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება, საარჩევნო კამპანია ახალ, უფრო საპასუხისმგებლო ფაზაში შევიდა. აგიტატორებმა მოსახლეობას მიმზიდველად, გასაგები ენით უნდა გააცნონ დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულთა ბიოგრაფიები, განუმარტონ საბჭოთა საარჩევნო სისტემის არსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით რესპუბლიკის მშრომელებში არნახული პატრიოტული აღმავლობაა. ამ საერთო-სახალხო საქმეში თავისი წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს, მრავალ საარჩევნო ოლქში სპორტსმენი აგიტატორების ხელმძღვანელობით შესანიშნავადაა მოწყობილი აგიტაცია, ამომრჩეველთა მომსახურება. მაგრამ საჭიროა კიდევ უფრო გავაცხოველოთ მუშაობა, და როგორც ყოველთვის, ახლაც სასახელოდ ჩავატაროთ ეს ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიება.

☆

პარტიის მოწოდებით — ყამირისაკენ!

მოსკოველ კომკავშირელთა და ახალგაზრდათა მიმართვამ ყამირ და ნასვენ მიწებზე სამუშაოდ წასვლის შესახებ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ქალაქ სტალინირის ახალგაზრდობას შორის. კომკავშირის სტალინირის საქალაქო კომიტეტში ამ დღეებში მრავალი განცხადება შევიდა.

ა. გაბარაევს სამხრეთ ოსეთში კარგად იცნობენ, როგორ მოწინავე ზეინკალსა და ოლქში საშუალო წონის ყველაზე საუკეთესო მოკრივეს. მან სურვილი განაცხადა წავიდეს ყამირის ასათვისებლად.

კომკავშირის საოლქო კომიტეტის სახელზე დაწერილ განცხადებაში კომკავშირის ქალაქკომის მდივანი, ოლქში ცნობილი შაშისტი ვ. ცხოვრებოვი დაბეჯითებით თხოულობს ყამირზე წასვლას.

ყამირზე წამსვლელთა შორის არიან: მეორე თანრიგოსანი ტანმოვარჯიშე, კომკავშირელი მეყალიბე ვ. ჩეხოევი, ფეხბურთელები ვ. ორლოვი, ვ. კოსტრუბი, ბ. ჯიოევი და სხვ.

ჰოკეიში მსოფლიო პირველობისათვის

დასავლეთ გერმანიაში გაცხოველებით ემზადებიან მსოფლიო პირველობისათვის შაიბიან ჰოკეიში. როგორც ცნობილია, კელნის, კრეფელდის, დიუსელდორფისა და დორტმუნდის საციგურაოებზე 25 თებერვალს დაიწყება შეუპოვარი ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის. საფრანგეთის, შვეციის, კანადის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების ჰოკეის მოყვარულნი უკვე შეუდგნენ სამზადისს პირველობაზე დასასწრებად.

ზოგიერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა წინასწარი ვარაუდი, რომ პირველობაში ითამაშებს 18 გუნდი და ამ გუნდების ორ ჯგუფად დაყოფის სია. პირველ ჯგუფშია სსრ კავშირი, კანადა, შვეცია, ჩეხოსლოვაკია, შვეიცარია, პოლონეთი, დასავლეთ გერმანია, ფინეთი, ნორვეგია და იტალია. მეორე ჯგუფშია: ინგლისი, იუგოსლავია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ბელგია, ავსტრია, დანია და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

თამაშზე დასასწრებ ბილეთებზე დიდი მოთხოვნილებაა, მიუხედავად იმისა, რომ ბილეთებზე დიდი ფასია დაწესებული. განსაკუთრებით დიდია მოთხოვნილება ბილეთებზე საბჭოთა კავშირი-კანადის მატჩზე.

მესამე ზონალური ტურნირი

მიმდინარე წლის დამლევს მოსკოვში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონის სახელზე ქალთა შორის პრეტენდენტთა ტურნირი, რომელშიც გამარჯვებული 1956 წელს მსოფლიო ჩემპიონობაზე ითამაშებს ბიკოვასთან.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში უკვე ჩატარდა ზონალური ტურნირები. ამას წინათ ლაიპციგში დამთავრდა მესამე ზონის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 9 ქვეყნის 14 მოჭადრაკე ქალი თამაშობდა. ერთი თვის დაძაბული ბრძოლის შემდეგ პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს ჩეხოსლოვაკელმა რუქენა სუხამ და ბულგარელმა ანტონინა ივანოვამ. მათ 9-9 ქულა დააგროვეს. მესამე-მეოთხე ადგილები 8,5-8,5 ქულით დაიკავეს პოლონეთის ჩემპიონმა კრისტინა ხოლუიმ და ბელანე კერტესმა (უნგრეთი). პრეტენდენტთა ტურნირში რუქენა სუხსთან ერთად თამაშობს ქ. ხოლუი.

სსრ კავშირი - იაპონია

◆

საერთაშორისო შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში

◆

იაპონელი მოჭიდავეების ჩამოსვლამ საბჭოთა კავშირში სპორტული საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესი გამოიწვია. გასული წლის მსოფლიო ჩემპიონატში იაპონიის ნაკრებმა მეოთხე ადგილი დაიკავა თურქეთის, საბჭოთა კავშირისა და ირანის შემდეგ. იაპონიის ნაკრების შემადგენლობაში ბევრი საერთაშორისო კლასის მოჭიდავეა, მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა ქვემსუბუქი წონის სპორტსმენი სასახარა. იგი 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონია თავისუფალ ჭიდაობაში.

ორშაბათს მოსკოვის სახელმწიფო ცირკის შენობაში მოეწყო იაპონიის და საბჭოთა მოჭიდავეების პირველი ამხანაგური შეხვედრა. სტუმრების წინააღმდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის ნაკრები ცალქალამანიძის, მარტინოვის, სოლოიდის, გაბარაევის, ბალავაძის, სხირტლაძის, კულაევისა და კანდელაკის შემადგენლობით.

საღამოს 7 საათისათვის სახელმწიფო ცირკის ვეებერთელა ამფითეატრი გაივსო მაყურებლით. საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას სხვებთან ერთად ესწრებოდა მოსკოვში სტუმრად ჩამოსული შვეციის მოჭიდავეთა ნაკრები (კლასიკურ ჭიდაობაში). სპორტული მარშის ხმებზე ცირკის არენაზე ერთმანეთის პირისპირ ეწყობიან იაპონიისა და საბჭოთა კავშირის მოჭიდავეები. მაყურებელთა მქუხარე ტაშის ქვეშ იაპონიის ნაკრების კაპიტანს საბჭოთა კავშირის გუნდის კაპიტანმა ვ. ბალავაძემ გადასცა სამახსოვრო ვიმპელი.

ხალიჩაზე პირველად გამოვიდნენ უმჩატესი წონის მოჭიდავეები—ცალქალამანიძე და ივაი იოსიადი. თავიდანვე ცხადი გახდა, რომ საბჭოთა მოჭიდავე ფიზიკურად და ტექნიკურად ძლიერი იყო თავის მოწინააღმდეგეზე, მაგრამ იაპონელს ახასიათებდა არაჩვეულებრივი შეუპოვრობა, კრიტიკულ, თითქმის უიმედო მდგომარეობიდან იგი მაინც უსხლტებოდა ხელიდან მოწინააღმდეგეს. ცალქალამანიძე განსაკუთრებით ეფექტურად მუშაობდა ფეხებით, მისი მეტოქე გამუდმებით ხალიჩაზე იყო მიჯაჭვული, მაგრამ სუფთა გამარჯვების მოპოვება საკმაოდ გაჭირდა. 15-წუთიანმა ბრძოლამ ცალქალამანიძის აშკარა უპირატესობით ჩაიარა.

მჩატე წონაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ იიოძუკა დ. მარტინოვი. იაპონელმა ჭიდაობა მეტად აქტიურად ჩაატარა. მარტინოვს თავიდანვე მოახვია საკუთარი სტილი და უკანასკნელს თავდაცვის მეტი არაფერი არ რჩებოდა. ამასთან იაპონელი კარგად იყენებდა დგომში ფეხებით მუშაობის უპირატესობას. გამარჯვება ქულებით იაპონელს მიეკუთვნა. კიდევ ერთი ქულა მოუტანა თავის გუნდს მსოფლიო ჩემპიონმა ქვემსუბუქ წონაში სასახარამ. მისი მოწინააღმდეგე სოლოიდი შეუპოვრად ებრძოდა ძლიერ მეტოქეს, მაგრამ შეხვედრა მაინც იაპონელის გამარჯვებით დამთავრდა. ეს იყო სტუმრების უკანასკნელი წარმატება.

მსუბუქ წონაში ამაღელვებელი მომენტებით იყო აღსავსე გაბარაევისა და კასახარა საგურუს ორთაბრძოლა. ორივე მონდომებითა და ენერგიულად იბრძოდა. მეოთხე წუთზე გაბარაევმა ოსტატური შუაკაურით ბეჭებზე დასცა მოწინააღმდეგე. მოსკოვის მაყურებელი განსაკუთრებით მოუთმენლად ელოდა მსოფლიო ჩემპიონის ვ. ბალავაძისა და ამავე ჩემპიონატის პრიზიორის კანეკოს შეხვედრას. ტოკიოში ბალავაძემ კანეკო 2 წუთსა და 23 წამში დაამარცხა. ამჯერად იაპონელმა ბრძოლა შეწყვიტა მე-5 წუთზე.

საშუალო წონაში გამოდიოდნენ სხირტლაძე და იკედა მაცუო. შეხვედრა საბჭოთა მოჭიდავემ აქტიურად დაიწყო და უკვე მე-3 წუთზე იაპონელი ხიდურზე აღმოჩნდა. შემდგომში იკედა მაცუო მთლიანად დაცვაზე გადავიდა. მატჩი ქულებით მოიგო სხირტლაძემ.

ქვემძიმე წონაში კულაევისა და კაცურამოტოს შეხვედრაში ქულებით გაიმარჯვა პირველმა. მძიმე წონაში საბჭოთა მოჭიდავეს — კანდელაკს წინააღმდეგ გამოდიოდა იაპონელი სეკი. მან მხოლოდ პირველ ორ წუთში გაუწია წინააღმდეგობა კანდელაკს, ხოლო მესამე წუთზე ხალიჩაზე ბეჭებით მიჯაჭვული აღმოჩნდა.

საბჭოთა და იაპონიის მოჭიდავეების პირველი ამხანაგური შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 6:2. მაყურებელი გულთბილად მიესალმა ორივე გუნდს.

ზ. ჯაფარიძე,
მოსკოვი. ჩვენი სპეც. კორ.

სურათზე: № 29 საარჩევნო უბანი. საარჩევნო უბნის თავმჯდომარე გ. ლეჟავა (შუაში) ესაუბრება ახალგაზრდა ამომრჩევლებს — ფიზკულტურის ტექნიკუმის სპორტსმენ თანრიგოსნებს. მარცხნიდან — ზ. სანკაშვილი, ი. ჩხიკვაძე, ა. სიფრაშვილი, კ. ლომიძე, მ. გაბრიჩიძე, ნ. ტკაჩოვა, ს. ეშბა.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის" საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი

„მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" კომპლექსის დებულება

I. „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" კომპლექსის ამოცანები, აგებულება და შინაარსი

1. საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" (**მშთ**) შეადგენს ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემის საფუძველს, რომელიც მიმართულია საბჭოთა მოქალაქეების ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ფიზიკური მონაცემების განვითარებისაკენ, მათი მომზადების მიზნით სსრკ შრომისა და თავდაცვისათვის.

2. კომპლექსის ნორმების მომზადება და ჩაბარება მოწოდებულია ხელი შეუწყოს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფართოდ განვითარებას, აამაღლოს საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობა, აღზარდოს ფიზიკურად ძლიერი და გამძლე საბჭოთა პატრიოტები, რომლებიც მზად არიან გადალახონ ყოველგვარი სიძნელეები კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

3. კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" აგებულია ფიზიკური მონაცემების თანმიმდევრული და ყოველმხრივი განვითარების პრინციპზე და შედგება 3 საფეხურისაგან:

ა) საფეხური „იყავ მზად შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" (**იმშთ**) მიზნად ისახავს ბავშვების ფიზიკური მონაცემების ყოველმხრივ განვითარებას, ინტერესის ჩანერგვას ფიზიკურ კულტურასა და სპორტში სისტემატური მეცადინეობისადმი;

ბ) „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" (**მშთ**) კომპლექსის პირველი საფეხური უზრუნველყოფს სსრ კავშირის ახალგაზრდობისა და მოზრდილი მოსახლეობის ფიზიკური მონაცემების შემდგომ ყოველმხრივ განვითარებას და მათ ჩაბმას სპორტით აქტიურ მეცადინეობაში;

გ) „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" კომპლექსის მეორე საფეხური ამოცანად ისახავს უზრუნველყოს სსრ კავშირის მოქალაქეთა ფიზიკური მომზადების ყოველმხრივი განვითარების უფრო მაღალი დონე და აამაღლოს საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობა.

4. კომპლექსის ყოველი საფეხური შედგება თეორიული მოთხოვნებისა და პრაქტიკული ნორმებისაგან.

თეორიული მოთხოვნები შეიცავენ ძირითად ცნობებს ფიზკულტურისა და სპორტის, პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის, შრომისა და დასვენების რეჟიმის დარგში. პრაქტიკული ნორმები დადგენილია რბენაში, ცურვაში, თხილამურებით სიარულსა და სხვა ფიზიკურ ვარჯიშებში.

5. კომპლექსის ნორმების ჩაბარებისათვის დადგენილია შემდეგი ასაკობრივი ჯგუფები:

ა) **იმშთ** საფეხური — ბიჭები და გოგონები 13-14 წლამდე ჩათვლით;

ბ) **მშთ** I საფეხური — ჭაბუკები და ვაჟები 15-17 წლამდე, 18-30 წლამდე, 31-40 წლამდე, 41-45 წლამდე, 46 წლისა და უფროსი; გოგონები და ქალები 15-17 წლამდე, 18-25 წლამდე, 26-35 წლამდე, 36-40 წლამდე, 41 წლისა და უფროსი;

გ) **მშთ** II საფეხური — ჭაბუკები და ვაჟები 17-30 წლამდე, 31-40 წლამდე, 41-45 წლამდე; გოგონები და ქალები 17-25 წლამდე, 26-35 წლამდე, 36-40 წლამდე.

ვაჟები 45 წელზე და ქალები 40 წელზე ზევით ექიმის სპეციალური ნებართვით შეიძლება დაშვებულ იქნენ **მშთ** II საფეხურის ნორმების ჩაბარებაზე უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით.

II. „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" კომპლექსზე მომზადების ორგანიზაცია

6. **მშთ** კომპლექსის მომზადება წარმოებს:

ა) შვიდწლიან და საშუალო სკოლებში, შრომითი რეზერვების სასწავლო დაწესებულებებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში;

ბ) ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა ფიზიკური კულტურის კოლექტივებში;

გ) სპორტსკოლებში, პიონერთა ბანაკებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში;

დ) დასასვენებელ სახლებში, სანატორიუმებში, კურორტებზე, კულტურის პარკებსა და მშრომელთა დასვენების სხვა ადგილებზე;

ე) ნაწილებში, გემებზე, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სასწავლებლებსა და დაწესებულებებში;

ვ) არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებში (**დოსააფი**).

7. შვიდწლიან და საშუალო სკოლებში, შრომითი რეზერვების სასწავლო დაწესებულებებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში **მშთ** კომპლექსზე მომზადება წარმოებს ბავშვებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის სასწავლო და სკოლისგარეშე მუშაობის საფუძველზე. **მშთ** კომპლექსზე მოსწავლეთა მომზადების პასუხისმგებლობა ეკისრებათ სასწავლო დაწესებულებათა დირექტორებს.

8. წარმოებების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების ფიზიკური კულტურის კოლექტივებში **მშთ** კომპლექსზე მომზადებას აწარმოებენ ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები და კომკავშირის ორგანიზაციები.

9. **მშთ** კომპლექსის მომზადება ითვალისწინებს:

ა) სწავლებას და სისტემატურ წვრთნას;

ბ) თეორიულ მოთხოვნათა შესრულებას;

გ) პრაქტიკული ნორმების ჩაბარებას;

დ) კომპლექსის I და II საფეხურის პრაქტიკული ნორმების მომზადებას და განმეორებით ჩაბარებას ყოველმხრივი ფიზიკური განვითარების მაღალი დონის შენარჩუნების მიზნით.

III. „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" კომპლექსის ნორმების ჩაბარება

10. **მშთ** კომპლექსის ნორმათა ჩასაბარებლად დაიშვებიან ის პირები, რომლებმაც გაიარეს თეორიული და პრაქტიკული მომზადება და აქვთ ექიმის ნებართვა.

11. კომპლექსის II საფეხურის ჩასაბარებლად დაიშვებიან მხოლოდ ის პირები, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ **მშთ** I საფეხურის ნორმები. ფიზკულტურელებს, რომლებიც I საფეხურის ნორმათა ჩაბარების პროცესში აჩვენებენ II საფეხურის ნორმების შესაბამის შედეგებს, ჩაეთვლებათ ერთდროულად I და II საფეხურის ნორმათა ჩაბარება.

12. პრაქტიკული ნორმების ჩაბარება ხდება სპორტულ შეჯიბრებებში.

13. ნორმების ჩაბარებისათვის დადგენილია შემდეგი ვადები: **იმშთ** — მთელი ასაკობრივი პერიოდის ფარგლებში; **მშთ** I საფეხურისა — 1½ წლის ფარგლებში; **მშთ** II საფეხურისა — 2 წლის ფარგლებში. თუ ჩამბარებელი გადადის შემდეგ ასაკობრივ ჯგუფში, ჩაუბარებელ ნორმებს იგი აბარებს მისი ფაქტიური ასაკის შესაბამისი ნორმების მიხედვით.

14. იმ მიზნით, რომ **მშთ** კომპლექსის I და II საფეხურის ნორმათა ჩამბარებლებმა შეინარჩუნონ მიღწეული ფიზიკური მომზადების დონე, დადგენილია კომპლექსის პრაქტიკული ნორმების განმეორებითი ჩაბარება ყოველ 3 წლის შემდეგ.

15. **მშთ** კომპლექსის პრაქტიკული ნორმების ჩაბარების წინ უნდა უძღოდეს საექიმო შემოწმება.

IV. „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" კომპლექსის ნიშნებით დაჯილდოება

16. ის პირები, რომლებმაც ჩააბარეს **მშთ** კომპლექსის ნორმები, ჯილდოვდებიან შესაბამისი ნიშნით. ამ მიზნით დადგენილია ნიშნები:

ა) „იყავ მზად შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" (**იმშთ**);

ბ) „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" (**მშთ**) I საფეხური;

გ) „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" (**მშთ**) II საფეხური.

კომპლექსის I და II საფეხურის პრაქტიკული ნორმების განმეორებითი ჩაბარებისათვის ჩამბარებელს ეძლევა სპეციალური ქატიბი **მშთ** ნიშანზე მისამაგრებლად.

17. **მშთ** ნიშნით დაჯილდოება სკოლებში, შრომითი რეზერვების სასწავლო დაწესებულებებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ხდება შესაბამისი სასწავლებლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე; წარმოებების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ფიზიკური კულტურის კოლექტივებში — შესაბამისი რაიონის ან ქალაქის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ბრძანების საფუძველზე.

18. „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" კომპლექსის ნიშნებით დაჯილდოებული ვალდებულნი არიან მიიღონ აქტიური მონაწილეობა ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობაში და **მშთ** ნიშნების მომზადებაში, ამასთან, სისტემატურად იმეცადინონ ფიზიკურ კულტურასა და სპორტში და აამაღლონ თავისი სპორტული შედეგები.

V. „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" კომპლექსის ნიშნის ჩამორთმევა

19. „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" კომპლექსის ნიშნით დაჯილდოებულ პირებს, რომლებიც ჩაიდენენ საბჭოთა ფიზკულტურელის წოდებასთან შეუთავსებელ საქციელს, შეიძლება ჩამოერთვათ ნიშანი.

ნიშნის ჩამორთმევის საკითხს წყვეტს ფიზკულტურის კოლექტივის კრება. ფიზიკური კულტურის კოლექტივის გადაწყვეტილება ნიშნის ჩამორთმევის შესახებ უნდა დამტკიცდეს ნიშნის გამცემი ორგანიზაციის მიერ.

იმშთ ნორმების ცხრილი

მომზადებისა და გამოცდის სახეობანი	ნორმები: 13—14 წლის ბიჭები	ნორმები: 13—14 წლის გოგონები
1. ფიზკულტურა და სპორტი სსრ კავშირში	იხ. დანართი 1	
2. ჰიგიენური ცოდნა და ჩვევები	იხ. დანართი 2	
3. დილის ჰიგიენური ტანვარჯიში	იხ. დანართი 3	
4. ცოცვა ბაგირზე ან ლატანზე ფეხების დახმარებით	3 მ	2 მ
5. რბენა 60 მეტრზე	9,6 წამი	10 წამი
ან კროსი 500 მეტრზე	1 წთ 50 წამი	2 წთ 05 წამი
6. სიგრძეზე ხტომა გამორბენით	3 მ 25 სმ	2 მ 80 სმ
ან სიმაღლეზე ხტომა გამორბენით	110 სმ	100 სმ
7. ყუმბარის ტყორცნა (500 გრ)	25 მ	16 მ
8. ცურვა 25 მეტრზე	27 წამი	30 წამი
ან დროის ჩაუთვლელად	50 მ	50 მ
9. თხილამურებით: ბიჭები—3 კმ	22 წთ	—
გოგონები—2 კმ	—	18 წთ
უთოვლო რაიონებისათვის ერთ-ერთი ნორმათაგანი		
ა) ორი ერთდღიანი ქვეითი ტურისტული ლაშქრობა	12 და 15 კმ	12 და 15 კმ
	იხ. დანართი 5	
ან ბ) ორი ერთდღიანი ველოგადარბენა	15 და 20 კმ	15 და 20 კმ
	იხ. დანართი 7	

10. სპორტული თამაშები:

ბიჭები: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, ჰოკეი, ჩოგბურთი.

გოგონები: კალათბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი.

მონაწილეობის მიღება არანაკლებ 3 ოფიციალურ შეხვედრაში ერთ-ერთ თამაშში (სკოლის, პიონერთა რაზმეულის, რაიონის, ქალაქის პირველობა, შეხვედრები სკოლების გუნდებს შორის და სხვ.).

მშთ I საფეხურის ნორმების ცხრილი

მომზადებისა და გამოცდის სახეობანი	ჭაბუკები და ვაჟები: 15—17 წლისა	18—30 წლისა	31—40 წლისა	41—45 წლისა	46 წლისა და უფროსი	გოგონები და ქალები: 15—17 წლისა	18—25 წლისა	26—35 წლისა	36—40 წლისა	41 წლისა და უფროსი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1. ფიზიკური კულტურა და სპორტი სსრ კავშირში	იხ. დანართი 1									
2. ჰიგიენური ცოდნა და ჩვევები	იხ. დანართი 2									
3. დილის ჰიგიენური ტანვარჯიში	იხ. დანართი 3									
4. ცოცვა ბაგირზე ან ლატანზე	4 მ	4 მ	4 მ	4 მ	—	3 მ	3 მ	—	—	—
	ფეხების დაუხმარებლად					ფეხების დახმარებით				
ან ღერძზე მიზიდვა	6 ჯერ	8 ჯერ	7 ჯერ	5 ჯერ	3 ჯერ	—	—	—	—	—
5. რბენა 100 მეტრზე	14,6 წმ	14 წმ	14,8 წმ	—	—	16 წმ	15,6 წმ	16 წმ	—	—
6. კროსი 800 მეტრზე	2 წთ 45 წმ	—	—	—	—	3 წთ 15 წმ	3 წთ 05 წმ	3 წთ 20 წმ	4 წთ	—
კროსი 1.500 მეტრზე	—	5 წთ 30 წმ	5 წთ 45 წმ	6 წთ 30 წმ	—	—	—	—	—	—
სიარული და რბენა ადგილმდებარეობაზე: ვაჟები 3 კმ	—	—	—	—	18 წთ	—	—	—	—	—
ქალები 1 კმ	—	—	—	—	—	—	—	—	—	6 წთ
7. გამორბენით სიგრძეზე ხტომა	3 მ 80 სმ	4 მ 30 სმ	4 მ 25 სმ	3 მ 50 სმ	—	3 მ 30 სმ	3 მ 50 სმ	3 მ 25 სმ	3 მ	—
ან გამორბენით სიმაღლეზე ხტომა	120 სმ	125 სმ	120 სმ	115 სმ	—	110 სმ	110 სმ	105 სმ	100 სმ	—
8. 700 გრამიანი ყუმბარის ტყორცნა (10 მეტრის სიგანის დერეფანში)	30 მ	35 მ	35 მ	35 მ	—	18* მ	18 მ	18 მ	18 მ	—
9. ცურვა 100 მეტრზე	2 წთ 20 წმ	2 წთ 20 წმ	2 წთ 25 წმ	2 წთ 35 წმ	—	2 წთ 30 წმ	2 წთ 30 წმ	2 წთ 35 წმ	2 წთ 40 წმ	—
	(ნებისმიერი სტილით)									
ან დროის ჩაუთვლელად	200 მ	200 მ	200 მ	200 მ	100 მ	200 მ	200 მ	200 მ	200 მ	50 მ
10. თხილამურებით 3 კმ	—	—	—	—	—	22 წთ	21 წთ	22 წთ	23 წთ	—
ან 5 კმ	—	—	—	—	—	37 წთ	36 წთ	38 წთ	40 წთ	50 წთ
თხილამურებით 10 კმ	1 ს 10 წთ	1 ს 05 წთ	1 ს 15 წთ	1 ს 20 წთ	1 ს 50 წთ	—	—	—	—	—
უთოვლო რაიონებისათვის ერთ-ერთი ნორმათაგანი:										
ა) სწრაფგადასვლა 10 კმ	—	1 ს 10 წთ	1 ს 15 წთ	1 ს 20 წთ	—	—	—	—	—	—
ბ) ორი ერთდღიანი ქვეითი ლაშქრობა	15 და 20 კმ	—	—	—	20 და 25 კმ	12 და 18 კმ	12 და 18 კმ	12 და 18 კმ	12 და 18 კმ	12 და 18 კმ
	იხ. დანართი 6									
გ) ორი ერთდღიანი ველოგადარბენა	—	—	—	—	25 და 35 კმ	—	—	—	—	20 და 30 კმ
	იხ. დანართი 7									
დ) ველოკროსი: ვაჟები—25 კმ	1 ს 15 წთ	1 ს 08 წთ	1 ს 15 წთ	1 ს 20 წთ	—	—	—	—	—	—
ქალები—15 კმ	—	—	—	—	—	47 წთ	45 წთ	47 წთ	50 წთ	—
11. სასროლო სპორტი (ვაჟები)	სროლა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 25 ან 50 მეტრზე. სამიზნე: 25 მეტრზე № 6, 50 მეტრზე № 7. ვაზნები: 3 საცდელი, 5 ჩასათვლელი; 38 ქულა.					—	—	—	—	—
12. სპორტული თამაშები (მხოლოდ 15—17 წლის ასაკისათვის)						—	—	—	—	—

ჭაბუკები: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჰოკეი, ხელბურთი, წყალბურთი, ჩოგბურთი.

გოგონები: კალათბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი.

არანაკლებ 4 ოფიციალური შეხვედრა ერთ-ერთ თამაშში.

სავალდებულოა მხოლოდ საშუალო სკოლებისა და საშუალო სპეციალურ სასწავლო დაწესებულებათა მოსწავლეთათვის.

---

* 15—17 წლის გოგონები ტყორცნიან 500 გრ წონის ყუმბარას.

მშთ II საფეხურის ნორმათა ცხრილი

მომზადებისა და გამოცდის სახეობანი	ვაჟები: 17—30 წლისა	31—40 წლისა	41—45 წლისა	ქალები: 17—25 წლისა	26—35 წლისა	36—40 წლისა
	2	3	4	5	6	7
1. ფიზიკური კულტურა და სპორტი სსრ კავშირში	იხ. დანართი 1					
2. ჰიგიენური ცოდნა და ჩვევები	იხ. დანართი 2					
3. დილის ჰიგიენური ტანვარჯიში	იხ. დანართი 3					
4. ცოცვა ბაგირზე ან ლატანზე	4 მ „კუთხის" მდგომარ-ში	5 მ „კუთხის" გარეშე	4,5 მ „კუთხის" გარეშე	—	—	—
ან ღერძზე მიზიდვა	10 ჯერ	9 ჯერ	7 ჯერ	—	—	—
5. რბენა 100 მეტრზე	13,4 წმ	14 წმ	14,6 წმ	15 წმ	15,6 წმ	16 წმ
ან 200 მეტრზე	28 წმ	29 წმ	30 წმ	—	—	—
6. რბენა 800 მეტრზე	—	—	—	2 წთ 45 წმ	3 წთ	3 წთ 20 წმ
ან კროსი 800 მეტრზე	—	—	—	2 წთ 55 წმ	3 წთ 10 წმ	3 წთ 30 წმ
რბენა 1.500 მეტრზე	5 წთ 10 წმ	5 წთ 25 წმ	5 წთ 50 წმ	—	—	—
ან კროსი 5 კმ	21 წთ	23 წთ	26 წთ	—	—	—
7. გამორბენით სიგრძეზე ხტომა	5 მ	4 მ 50 სმ	4 მ	3 მ 80 სმ	3 მ 50 სმ	3 მ 30 სმ
ან გამორბენით სიმაღლეზე ხტომა	140 სმ	130 სმ	125 სმ	115 სმ	110 სმ	105 სმ
8. ყუმბარის ტყორცნა (700 გრ)	45 მ	40 მ	38 მ	25 მ	24 მ	22 მ
ან ბადროს ტყორცნა	27 მ	25 მ	24 მ	20 მ	19 მ	17 მ
ან შუბის ტყორცნა	33 მ	32 მ	30 მ	24 მ	22 მ	20 მ
ან ბირთვის კვრა	9 მ	8 მ	8 მ	7 მ 50 სმ	7 მ	6 მ 50 სმ
9. ცურვა 100 მეტრზე	1 წთ 50 წმ	2 წთ	2 წთ 10 წმ	2 წთ 15 წმ	2 წთ 25 წმ	2 წთ 35 წმ
ან	(ნებისმიერი სტილით)					
ვაჟები 400 მეტრზე	დროის ჩაუთვლელად (ნებისმიერი სტილით)					
ქალები 300 მეტრზე	დროის ჩაუთვლელად (ნებისმიერი სტილით)					
10. თხილამურებით: ვაჟები 15 კმ	1 ს 30 წთ	1 ს 35 წთ	1 ს 45 წთ	—	—	—
ქალები 5 კმ	—	—	—	33 წთ	35 წთ	38 წთ
ან 10 კმ	—	—	—	1 ს 17 წთ	1 ს 23 წთ	1 ს 30 წთ
უთოვლო რაიონებისათვის ერთ-ერთი ნორმათაგანი						
ა) სწრაფგადასვლა 10 კმ	1 ს 05 წთ	1 ს 10 წთ	1 ს 15 წთ	—	—	—
	იხ. დანართი 4					
ბ) ორი ერთდღიანი ქვეითი ლაშქრობა	—	—	—	15 და 20 კმ	15 და 20 კმ	15 და 20 კმ
				იხ. დანართი 6		
გ) ველოკროსი: ვაჟები —25 კმ	1 ს 04 წთ	1 ს 06 წთ	1 ს 10 წთ	—	—	—
ქალები - 15 კმ	—	—	—	43 წთ	45 წთ	47 წთ
11. სასროლო სპორტი—ვაჟები	შესრულებულ იქნეს სპორტული კლასიფიკაციის ერთ-ერთი ვარჯიში ნებისმიერი სახეობის იარაღიდან სპეციალური პირობებით. იხ დანართი 8					

დანართი 1

ფიზიკური კულტურა და სპორტი სსრ კავშირში

იმშთ

ყოველი საბჭოთა მოსწავლის მოვალეობაა რეგულარულად იმეცადინოს ტანვარჯიშში, თამაშებში, სპორტში, იყოს მოქნილი, გამძლე, გამოწრთობილი და ცხოვრებაში აქტიური ადამიანი. გაიჩინოს სიძნელეთა დაძლევის უნარი და მზად იყოს შრომისა და სამშობლოს თავდაცვისათვის.

იცოდეს როგორ არის აგებული **მშთ** კომპლექსი, რა მნიშვნელობა აქვს **მშთ** კომპლექსის ნორმათა ჩაბარებას მოსწავლეთა ჯანმრთელობის განმტკიცების, მათი ყოველმხრივი ფიზიკური განვითარებისა და გამოწრთობის საქმეში, ცხოვრებაში საჭირო პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებისათვის რბენაში, ცურვაში, თხილამურებით სიარულში და სხვ.

მშთ კომპლექსის ნორმათა ჩაბარება არის ყოველი მოსწავლის პატრიოტული მოვალეობა.

მშთ I და II საფეხური

ფიზიკური კულტურა — სოციალისტური კულტურის შემადგენელი ნაწილი—საბჭოთა მოქალაქეების კომუნისტური აღზრდის, ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ფიზიკური მონაცემების ყოველმხრივი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება. ფიზიკური კულტურის მნიშვნელობა საბჭოთა ადამიანების შრომითი მიღწევებისა და საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში. საბჭოთა ადამიანების ფიზიკური და გონებრივი მონაცემების ყოველმხრივი განვითარება — ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის განხორციელების საქმეში.

კომუნისტური პარტია — საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მითითებანი ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაში ფიზიკური კულტურის მასობრივად განვითარების, საბჭოთა სპორტსმენების სპორტული ოსტატობის ამაღლების შესახებ.

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი — ფიზკულტურისა და სპორტის ორგანიზატორი ახალგაზრდობაში.

საბჭოთა ფიზიკური კულტურის მოწინავე ხასიათი. **მშთ** კომპლექსი — ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემის საფუძველი. **მშთ** კომპლექსის ამოცანები, აგებულება და შინაარსი. **მშთ** კომპლექსის მნიშვნელობა ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივად განვითარებისა და საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის ამაღლების საქმეში. **მშთ** კომპლექსის გამაჯანსაღებელი და გამოყენებითი მნიშვნელობა.

მშთ ნიშნოსანი — კომუნიზმის მშენებლობის აქტიური მონაწილე, მაგალითის მიმცემი სწავლაში, შრომაში, სოციალისტური სამშობლოს დაცვის წმიდათა-წმიდა მოვალეობის შესრულებაში.

საბჭოთა სპორტსმენები სპორტში მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლების მნიშვნელობა საერთაშორისო შეჯიბრებებში ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების საქმისათვის.

დამატებითი მასალა მშთ II საფეხურისათვის

დილის ჰიგიენური ტანვარჯიშის ან „მოთელვის" ვარჯიშების კომპლექსის შერჩევის, აგებისა და შესრულების ძირითადი მეთოდური პრინციპები მოვარჯიშის ინდივიდუალური თავისებურებებისა და სპორტის სახეობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

შეჯიბრების წესების ცოდნა სპორტის ერთ-ერთ სახეობაში.

ჩათვლის პირობები (ყველა საფეხურისათვის)

1. ჩათვლა წარმოებს ხელმძღვანელის ჯგუფთან გასაუბრების ფორმით.

2. ჩათვლით საუბარს წინ უნდა უძღოდეს მასალის დამუშავება სასწავლო სახელმძღვანელოს მიხედვით არანაკლებ 3-4 მეცადინეობაზე.

3. ჩათვლისათვის საჭიროა სწორი პასუხები მიცემულ კითხვებზე.

დანართი 2

ჰიგიენური ცოდნა და ჩვევები

იმშთ

პირადი ჰიგიენური ცნობები

დღის საერთო რეჟიმი. კვებისა და ძილის რეჟიმი. ძილის ჰიგიენა. კანის, თმისა და ფრჩხილების მოვლა. პირის ღრუს ჰიგიენა. ფეხების მოვლა. წყლის პროცედურების ჰიგიენური მნიშვნელობა (ხელპირის დაბანა, შხაპი, აბანო, ბანაობა).

ბუნებრივი ფაქტორების გამოყენება (მზე, ჰაერი და წყალი) ორგანიზმის გამოწრთობის მიზნით.

საექიმო კონტროლი და თვითკონტროლი

საექიმო კონტროლისა და თვითკონტროლის როლი. კონტროლი წონაზე, სიმაღლეზე, ფილტვების მოცულობაზე, გულის მოქმედებაზე (მაჯისცემის მიხედვით), ძილზე, მადაზე, განწყობილებაზე, შრომისუნარიანობაზე, მოქნილობაზე.

პირველი დახმარება (ექიმამდე)

პირველი დახმარების ძირითადი საშუალებანი. პირველი დახმარების გაწევა დაჟეჟილობის, მოტეხილობის, გაჭრისა და დამწვრობის შემთხვევებში. დასნებოვნების თავიდან აცილება. უმარტივესი შეხვევები. დაზიანებულთა გადატანა. ხელოვნური სუნთქვა (ხერხები). პირველი დახმარება გულწასვლის, მზის დაკვრისა და დახრჩობისას. სალტის დადების, შეხვევისა და ხელოვნური სუნთქვის პრაქტიკულად ჩვენება.

მშთ I საფეხური

ჰიგიენა

დღის საერთო რეჟიმი, კვებისა და ძილის რეჟიმი. ძილის ჰიგიენა. კანის, თმისა და ფრჩხილების მოვლა. პირის ღრუს ჰიგიენა. ფეხების მოვლა. წყლის პროცედურების ჰიგიენური მნიშვნელობა (ხელპირის დაბანა, შხაპი, აბანო, ბანაობა).

წყლის პროცედურები [illegible] საღამოთი (დაზელვა, წყლის გადავლება, შხაპი). ბუნების ფაქტორების გამოყენება (მზე, ჰაერი, წყალი) ორგანიზმის გამოწრთობის მიზნით. მათი გამოყენების წესები. ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ჰიგიენა. საცხოვრებელი და სამეცადინო ადგილების ჰიგიენა: ბინის ჰაერი, ტემპერატურა, სინესტე, განათება და ვენტილაცია. გადამდებ სნეულებათა ცნება (გადადება და გავრცელება). ფიზიკური კულტურით და სპორტით მეცადინეობის დროებითი შეზღუდვა და საწინააღმდეგო ჩვენებანი.

პირადი და საზოგადოებრივი პროფილაქტიკის ღონისძიებანი (ავადმყოფობის თავიდან აცილება).

ვნება თამბაქოს მოწევისა და სპირტიანი სასმელების მიღებისაგან.

საექიმო კონტროლი და თვითკონტროლი სპორტით მეცადინეობისას

საექიმო კონტროლისა და თვითკონტროლის მნიშვნელობა და შინაარსი სპორტსმენის ვარჯიშისას. ობიექტური მონაცემები: წონა, დინამომეტრია, სპირომეტრია, მაჯა. სუბიექტური მონაცემები: გუნება, ძილი, მადა, განწყობილება, შრომისუნარიანობა, საერთო მდგომარეობა.

ცნებები წვრთნის, დატვირთვისა და გადაწვრთნის შესახებ.

სპორტული რეჟიმის ორგანიზაცია. შრომა და დასვენება წვრთნის დროს.

სპორტული ტრავმების თავიდან აცილება

ცნება ტრავმების შესახებ. სპორტული ტრავმების [illegible] სხვა სახეობაში მეცადინეობის შესაბამისად.

პირველი დახმარება (ექიმამდე)

ჭრილობები და მათი ნაირსახეობანი.

დაჟეჟილობანი, ძვლების, კუნთებისა და მყესების დაჭიმვა და გაწყვეტა. სისხლდენა და მისი სახეობანი. ღრძობა.

ძვლების დაზიანება. დაჟეჟილობა, მოტეხილობა (დახურული და ღია).

მაღალი ტემპერატურის მოქმედება. დამწვრობა, დასიცხვა, მზის დაკვრა.

დაბალი ტემპერატურის მოქმედება: შეციება, მოყინულობა, საერთო გაყინვა.

პირველი დახმარების გაწევა წყალში დახრჩობისას, მიწისა და თოვლის ქვეშ მოყოლისას (ზვავი), გულწასვლისას, მკვეთრ უღონობისას და გარეშე სხეულის თვალში ან ყურში მოხვედრისას.

პრაქტიკულად უნდა იქნეს ნაჩვენები სისხლის დენის შეწყვეტის ხერხები. შეხვევები. პირველადი სალტის დადება, ხელოვნური სუნთქვის ხერხები, დაზარალებულთა გადატანა და გადაზიდვა.

დამატებითი მოთხოვნები

ვაჟთათვის 45 წელს ზევით და ქალთათვის 40 წელს ზევით

ჰიგიენური მოთხოვნები ფიზიკურ ვარჯიშობათა შესრულებისადმი და გამოწრთობისადმი უფროს ასაკში.

მშთ II საფეხური

ფიზიკურ ვარჯიშობათა ჰიგიენა

ჰიგიენური მოთხოვნები ფიზიკურ ვარჯიშობათა მეცადინეობის აგებისა და ჩატარებისადმი. ჰაერის ტემპერატურის, ნესტიანობისა და მოძრაობის მნიშვნელობა. სამეცადინო ადგილის, მოწყობილობის, ინვენტარის, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის ჰიგიენა. სპორტსმენის კვება. სპორტსმენის პირადი ჰიგიენა. წვრთნის ჰიგიენა. ფიზკულტურელი ქალის ჰიგიენა. საერთო სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები სპორტულ შეჯიბრებათა ჩატარებისადმი.

სპორტული ტრავმების თავიდან აცილება

ცნება ტრავმების შესახებ. სპორტული ტრავმების თავისებურებანი, მათი მიზეზები და პროფილაქტიკა სპორტის სხვადასხვა სახეობაში მეცადინეობის შესაბამისად — ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ფეხბურთში, კალათბურთში, ჰოკეიში, კრივში, სათხილამურო სპორტში და სხვ.

შენიშვნა: ჩამბარებელმა უნდა იცოდეს სპორტის ერთ-ერთი რომელიმე სახეობისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ტრავმები, მათი მიზეზები, პროფილაქტიკა და პირველი დახმარების აღმოჩენის ხერხები.

ჩამბარებელმა უნდა იცოდეს პირველი დახმარების აღმოჩენის ხერხები (ექიმამდე) **მშთ** I საფეხურის ფარგლებში.

სპორტული მასაჟის საფუძვლები

სპორტული მასაჟის საერთო გაგება. მასაჟის ძირითადი ხერხები (თელვა, სრესა, მოთელვა, ტყეპა, ბერტყვა). მასაჟი წვრთნის ან შეჯიბრების წინ, წვრთნისა და შეჯიბრების დროს, წვრთნისა და შეჯიბრების შემდეგ. მასაჟის საწინააღმდეგო ჩვენებანი.

ჩათვლის პირობები (ყველა საფეხურისათვის)

1. ჩათვლა მიიღება ჯგუფთან გასაუბრების ფორმით და ნორმის ჩამბარებლის მიერ ხერხების პრაქტიკული ჩვენების გზით.

2. ჩათვლას წინ უნდა უძღოდეს მასალის დამუშავება არანაკლებ 4-5 მეცადინეობაზე.

3. ჩათვლის მიღებისათვის საჭიროა სწორი პასუხები დასმულ კითხვებზე და მოცემული ილეთების სწორი ჩვენება.

დანართი 3

დილის ჰიგიენური ტანვარჯიში

იმშთ

„დაჭურვის ტიპის" ვარჯიშები

1-ლი ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა — ძირითადი დგომა.

შესრულება: 1. მაქსიმალური განზნექა და გაწელვა ზემოთ. ხელისგული წინ.

2. დრეკადი წინზნექა, ხელის თითები ეხება იატაკს.

3. განმეორებითი დრეკადი წინზნექა, ხელის თითები ეხება იატაკს.

4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

ვარჯიში სრულდება სამჯერ.

მე-2 ვარჯიში

ს. მ. — ძირითადი დგომა.

შესრულება: 1. მარცხენა ფეხი განზე, ცერი ეხება იატაკს, თითების გადახლართვით ზემოთ, ხელისგული ზევით.

2.3. ორი დრეკადი ზნექა მარცხნივ.

4. გარეკლავებით მიმკლავე, მარცხენის მიერთებით დგომა.

5, 6, 7, 8. იგივე ვარჯიში საწინააღმდეგო მხარეს.

ვარჯიში მეორდება ორივე მხარეს.

(გაგრძელება იქნება)

იური ნაგიბინი

პირადი პირველობა

(გაგრძელება. იხ. „ლელო" № 5).

3

რინგზე რომ გამოვიდნენ, შელეშნიოვი ცდილობდა სოკოლოვის წარბის დათვალიერებას. მართლაც, მარცხენა წარბს ზემოთ კანი თხელი, სუსტი ჩანდა, მაგრამ ხშირი წარბი ფარავდა ჭრილობას.

— ბოქს! — შესძახა მსაჯმა და დაიხია.

სერგეიმ ბრძოლა უჩვეული სიფრთხილით დაიწყო: იქნებ შელეშნიოვის მიერ მანქანაში მიცემული გაფრთხილება ახსოვდა ან კიდევ იქნებ წარბი იყო მიზეზი. ასე იყო თუ ისე, სოკოლოვი თავს ძალიან კარგად იცავდა, შელეშნიოვმა მხოლოდ რამდენიმე სუსტი დარტყმა მოახერხა. სოკოლოვის კონტრშეტევა უფრო მეტი წარმატებით ჩატარდა. სამჯერ მოახვედრა თავში და მაყურებელთა ტაშის გრიალში რაუნდი დაამთავრა.

— რაუნდი სოკოლოვისაა, — ჩასჩურჩულა მწვრთნელმა შელეშნიოვს, როცა გონგის შემდეგ ის თავის კუთხეში ბრუნდებოდა, — მეტი აქტიურობა გმართებს.

„ადვილია რჩევის მიცემა, — გაიფიქრა შელეშნიოვმა, — რა აქტიური იქნები, როცა შენს თვალწინ ეს წყეული წარბია!".

მეორე რაუნდის დასაწყისიდანვე სოკოლოვი მეტ გამბედაობას იჩენდა, შეტევაზე გადავიდა. ურტყამდა მარჯვნივ და მარცხნივ. გრძელი და პირდაპირი დარტყმა ცვლიდა ძლიერსა და მოკლეს. გეგონებოდათ, შელეშნიოვის თავი თვითონ იზიდავს მის ხელთათმანსო.

შელეშნიოვი პასუხობდა კორპუსში დარტყმით, ცდილობდა ორმხრივ ჩაჭერას. მან იცოდა, ძალის რა უზარმაზარი მარაგი ჰქონდა სოკოლოვს.

ასე შეიძლება წაეგო კიდეც, — გაიფიქრა მან, როცა ერთხელ კიდევ ჩამოეკიდა სერგეის.

— ბოქს! — დაიძახა მსაჯმა და მოწინააღმდეგეები გააშველა.

შელეშნიოვს ჯერაც ვერ ეპოვნა საყრდენი წერტილი, რომ სოკოლოვმა ძლიერი დარტყმა აცემა. თვალის გუგებში ანაზდად ჩამოწვა ბურუსი, აენთო წამსვე და დამაბრმავებელ ტკივილად იქცა, თითქოს თავში ყუმბარა აფეთქდა, შელეშნიოვი ჩაცუცქდა, მაგრამ იმავე წამს წამოხტა, მსაჯს არ დააცალა თვლის დაწყება. სოკოლოვმა გაიღიმა და გამოიჩინა კბილებზე დადებული კაუჩუკის ზოლი. ეტყობოდა კმაყოფილი იყო, რომ შელეშნიოვმა ასეთ დარტყმას გაუძლო.

ალექსის თვალებში ცისარტყელას ფერები ციმციმებდნენ, მაგრამ წონასწორობას არ კარგავდა. სოკოლოვის ახალ იერიშს ძლიერი იერიშით უპასუხა და ახლა ნიკაპს დაუმიზნა. აქ კი რაღაც უჩვეულო მოხდა. სოკოლოვმა დარტყმა აირიდა, წაყვინთა. შელეშნიოვის ხელთათმანმა მის სახესთან გაიწივლა და თვითონ ის კი ინერციით ბაგირებზე გადაეშვა.

ალექსი ელვის სისწრაფით მოწყდა ბაგირებს, რომელთაც მკერდის კანი დაუწვეს, მაგრამ სოკოლოვი არც ფიქრობდა თავდასხმაზე, იდგა შუა რინგზე, სისხლის ნაკადი დაჰყვებოდა ფართე შუბლიდან პირის კიდემდე. შელეშნიოვის მკვეთრი დარტყმა წარბს მოხვდა და სამართებლივით გაჰკვეთა სუსტი კანი.

ყოველივე ეს შელეშნიოვმა გვიან გაიგო. ახლა ალექსიმ მხოლოდ ერთი რამ ნახა: როგორი ჩვეული სიმარდით გამოხტა ბაგირებს ქვემოდან მოკრივეთა ძველი ექიმი კორობეინოკოვი, შეხედა წარბს და ოდნავ გასაგონი ხმით უთხრა:

— მორჩა, ძვირფასო!

ყველაფერი დანარჩენი შელეშნიოვმა ისე მიიღო, თითქოს ყველამ მის გარშემო რაღაც უაზრო თამაში მოაწყო. ექიმი უკანვე გაძვრა, მას მიყვა სოკოლოვი იმ სახით, თითქოს ბრძოლის გაგრძელება მას არც ეხება. რინგის მსაჯმა მოკლედ მოითათბირა დანარჩენ მსაჯებთან, მივიდა შელეშნიოვთან და მისი მარჯვენა ხელი ასწია.

„— მათ გადაუწყვეტიათ თავიანთ სულელურ თამაშში ჩამითრიონ" — გაიფიქრა შელეშნიოვმა და თავის ხელს, რომელიც საზეიმო სახით მსაჯს მაღლა აჰქონდა, ისე შესცქეროდა, თითქოს ის სხვისი ყოფილიყოს.

—„გონს მოდით, ბრძოლა ხომ არ დამთავრებულა! „— უნდოდა წამოეძახა, მაგრამ სდუმდა. რადგან გულზე აწვებოდა რაღაც გაურკვეველი, მძიმე გრძნობა იმისა, რისი გამოსწორებაც აღარ შეიძლებოდა.

— გაიმარჯვა შელეშნიოვმა! — ჩაესმა მსაჯის ხმა. მოეჩვენა თითქოს ეშმაკი ჩაუძვრა სულში და დოლივით აბრახუნებს მის გულზე.

ვიღაცამ მხრებზე ხალათი მოასხა.

— მოგილოცავ, ალიოშა, — თქვა მწვრთნელმა, — მაინც გამარჯვებაა.

4

შელეშნიოვი დიდხანს იდგა შხაპის ქვეშ. მძლავრი ნაკადი დაღლილობასთან ერთად ჰბანდა იმ არასასიამოვნოს, რაც ახლა განიცადა.

ჩაცმული შელეშნიოვი გასახდელში გამოვიდა. ფანჯრის რაფაზე იჯდა ნინა და ფეხებს აქანავებდა.

მის წინ სოკოლოვი იდგა. მის მარცხენა წარბს მალამოს პაწია შავი ჯვარი ფარავდა. შელეშნიოვი არ მოელოდა ამ შეხვედრას. დაიბნა. სოკოლოვი სწრაფად მობრუნდა.

— დამეხმარე, დაუდასტურე ნინას, რომ წარმოდგენაც არ გქონია ჩემი წარბის ჭრილობაზე. ხათაბალაა ამ ქალების გადაკიდება, — გაიცინა სოკოლოვმა, — აიხირა, თითქოს შენ განზრახ დამიმიზნე წარბში.

შელეშნიოვს ლოყები გაუცივდა. თვალი აარიდა წარბზე დაკრულ მალამოს და უსიტყვოდ თავი დააქნია.

— აი, ხედავ? — ხალისით წამოიძახა სოკოლოვმა და ამან შელეშნიოვი დაამშვიდა.

— მე სულაც არა ვძრახავ ალექსის, — ცივად თქვა ნინამ. — რატომ უნდა თქვას უარი ადამიანმა ზედმეტი შანსის გამოყენებაზე? თუნდაც ერთადერთ უპირატესობაზე, თუ გნებავთ... გთხოვ ნუ გააწყვეტინებ, — გადაჰკრა სერგეის,—მე ხომ არ მითქვამს, რომ ეს აკრძალული ხერხია, მაგრამ მაინც მოხარული ვარ, რომ ალექსიმ მართლა არ იცოდა.

— მე ვიცოდი... — შელეშნიოვს უნდოდა ყველაფერი ეთქვა, მაგრამ ნინას სახეზე ისეთი ზიზღი ამოიკითხა, რომ სიტყვები ყელში გაეჩხირა.

— სჯობდა გეცრუათ! — ნინამ ისე აგდებით შეარხია მხრები, ისე მოიბღუნძა, თითქოს რაღაც უწმინდურს შეეხო. — თუნდაც ჩემი გულისთვის, თუნდაც წინანდელი ჩვენი... — კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ისევ შეარხია მხრები და გაჩუმდა.

— თუ დარტყმა არასწორი იყო, სერგეიმ გაასაჩივროს.

— გაჩუმდი. საძაგლობაა!

სერგეი იატაკს დასცქეროდა. შელეშნიოვი ელოდა მის დალაპარაკებას, მაგრამ ის სდუმდა. ალექსიმ ჩამოიღო მოსასხამი, თავი უხერხულად დაუკრა და გავიდა.

(გაგრძელება იქნება).

ახალი წიგნები

როგორ შევისწავლოთ

ა. ვ. ბუხაროვი, სპორტის დამსახურებული ოსტატი. **„როგორ შევისწავლოთ სიმძიმეების აწევა".** სახელგამი, თბილისი, 1954 წელი. წიგნის რედაქტორია კ. ზაუტაშვილი. გვერდი 34, ფასი 45 კაპ.

წიგნში ლაპარაკია საბჭოთა კავშირში ძალოსნური სპორტის აღმოცენებისა და განვითარების შესახებ, ძალოსნური სპორტის მნიშვნელობაზე. ავტორი გასაგები ენით აღწერს შტანგის აწევის ტექნიკას, აგრეთვე ორივე ხელით შტანგის აჰიმვას, ატაცსა და აკვრას. ცალკეა მოცემული საწონის აწევის ტექნიკის აღწერა.

წიგნის დასასრულს ბუხაროვი ლაპარაკობს ძალოსნების უახლოეს ამოცანებზე და მიუთითებს სარეკომენდაციო ლიტერატურას.

კალათბურთი
შეჯიბრების
წესები
სახელგამი

კალათბურთი. შეჯიბრების წესები. სახელგამი, 1954 წელი. თარგმანი ლ. ფალავანდიშვილისა, წიგნის რედაქტორია რ. ქორქია. წიგნი შეიცავს 79 გვერდს და ღირს 1 მან. 15 კაპ.

წიგნი შედგება თავებისაგან: შეჯიბრების მონაწილენი, მსაჯთა უფლებები და მოვალეობანი, შეჯიბრების წესები, თამაშის ადგილი, მოწყობილობა. ინვენტარი. როგორ შევადგინოთ შეჯიბრების ოქმები, წიგნში მოცემულია აგრეთვე სამსაჯო ტერმინოლოგია და ჟესტები, სათანრიგო მოთხოვნები.

სპორტის სამ სახეობაში

გორი. (ჩვენი კორ.). დამთავრდა ქალაქის მოსწავლეთა ზამთრის ახალგაზრდული თამაშები ფრენბურთში, კალათბურთსა და ჭადრაკში.

მოჭადრაკეთა გუნდური შეხვედრები ვაჟთა შორის დამთავრდა რუსული საშუალო სკოლის მოსწავლეთა გამარჯვებით. ქალთა შორის ყველას აჯობა რკინიგზის სკოლის გუნდმა, მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს მეოთხე და მეხუთე საშუალო სკოლის მოჭადრაკეებმა.

შეხვედრები ფრენბურთში, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის დამთავრდა რუსული საშუალო სკოლის მოსწავლეთა გამარჯვებით.

საინტერესო იყო შეჯიბრება კალათბურთში, რომელიც ბარათაშვილის სახელობის პედინსტიტუტის დარბაზში ჩატარდა. თამაშებისათვის ყველაზე უკეთ იყვნენ მომზადებული მეოთხე საშუალო სკოლის ვაჟთა და ქალთა გუნდები, რომლებმაც პირველი ადგილები დაიკავეს.

ა. გელაშვილი.

ვინ განაგებს ამერიკის კრივს?

მისი კარიერა სრულიად შემთხვევით დაიწყო. მოკრივეთა მატჩების ერთ-ერთმა უმნიშვნელო ორგანიზატორმა ტექს რიკარდმა გადაწყვიტა ხელი მოეკიდა რაიმე დიდი „საქმისთვის". რითი შეიძლებოდა რიგითი ამერიკელების დაინტერესება, პირდაპირი იერიშის მიტანა მათ ჯიბეზე თუ არა სენსაციური მატჩით მძიმეწონის მოკრივეთა შორის? რიკარდი შეუდგა თავისი მიზნის განხორციელებას.

იმ დროს მსოფლიო ჩემპიონი პოპულარული ჯიმ ჯეფერისი იყო. საჭირო გახდა მისთვის შესაფერისი მეტოქის პოვნა. არჩევანი ზანგ ჯეკ ჯონსონზე შეჩერდა. გაქნილმა საქმოსანმა ფართო მოსამზადებელი საქმიანობა გაშალა. მალე ცნობილი გახდა შეხვედრის ჩატარების თვე და რიცხვი. გაკვირვებას იწვევდა მხოლოდ ადგილი. რიკარდმა მატჩის მოწყობა გადაწყვიტა არა ნიუ-იორკის ან ჩიკაგოს ცნობილ რინგებზე, არამედ—მეშახტეთა პატარა ქალაქ რენოში. ეშმაკი მატჩმახერი საკმაოდ წინდახედული გამოდგა... რიკარდი წინასწარ დაუკავშირდა ქალაქის ყველა მსხვილ მრეწველს და დასდო მათთან ხელშეკრულება. შეხვედრის დღეებში რენოს მოსახლეობა ერთი სამად გაიზრდებოდა, ეს კარგად იცოდა ტექს რიკარდმა. სწორედ ამიტომ სხვადასხვა ფირმის წარმომადგენლებს საშუალება ექნებოდათ გაეშალათ ფართო ვაჭრობა. მატჩმახერი კი ყველა წარმოებისაგან შემოსავლის 25 პროცენტს მიიღებდა.

ჯეფერის-ჯონსონის შეხვედრა, რომელიც კრივის ისტორიაში შევიდა როგორც „სისხლიანი მატჩი", დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონის სასტიკი დამარცხებით. ჩემპიონის გვირგვინი შავკანიან სპორტსმენს გადაეცა. ზანგების უბანი ნიუ-იორკში ზეიმობდა თავისი თანამემამულის გამარჯვებას. გამარჯვებას ზეიმობდა ტექს რიკარდიც, რომელიც უბრალო გაქექილ ორგანიზატორიდან მსხვილ კაპიტალისტად გადაიქცა.

წლები გადიოდა და რიკარდის სახელი თანდათან ძლიერებით იმოსებოდა. იგი ამერიკაში აღიარებულ იქნა № 1 ორგანიზატორად.

ერთ დღეს ტექს რიკარდმა გაიცნო მაიკ ჯეკობსი. უკანასკნელი ღარიბი მკერავის შვილი იყო. მაიკმა თავისი მოღვაწეობა გაზეთების გაყიდვით დაიწყო. ერთხანს იგი ნიუ-იორკის ერთ-ერთ ბარში მუშაობდა, შემდეგ — დოკერად. ჯეკობსი მოულოდნელად წააწყდა „დიდ ბიზნესს"—კრივის ბილეთებით სპეკულაციას. მალე „ნიჭიერ" მაიკს საშუალება მიეცა ეხსნა გაჭირვებისაგან მაშინ მისთვის უცნობი № 1 ორგანიზატორი.

...რიკარდი აწყობდა მძიმე წონის მოკრივეთა მატჩს, რომელიც მაყურებლისათვის არავითარ ინტერესს არ წარმოადგენდა. მაიკმა შეისყიდა ყველა დარჩენილი ბილეთი (ასეთები კი ამ მატჩზე საკმაოდ ბევრი იყო) და ჩამოუარა გაზეთებს. გარკვეული საფასურის მიღების შემდეგ პრესამ არნახული ხმაური ატეხა ამ შეხვედრის გარშემო. ხალხი მოაწყდა რინგს. ჯეკობსმა გაშალა სპეკულაცია და თავისდაუნებურად კარგი სამსახური გაუწია რიკარდს. რიკარდს მოეწონა ახალგაზრდა, ენერგიული ჯეკობსი და შეიამხანაგა.

მრავალი წლის განმავლობაში ასოციაცია რიკარდი-ჯეკობსი მბრძანებლობდა ამერიკულ კრივში. გახდა რა მსხვილი კაპიტალისტი, ჯეკობსი მაინც არ ივიწყებდა თავის პირვანდელ ხელობას — ბილეთებით სპეკულაციას. მიუხედავად იმისა, რომ კარპანტიე-დემპსის მატჩზე ყველა ბილეთი გაყიდული იყო, მოხვედრა მაინც შეიძლებოდა. ამისათვის უნდა მისულიყავით ჯეკობსთან და ორმაგ ფასში გეყიდათ ქაღალდის საჭირო ნაგლეჯი.

ყველაზე დიდ შემოსავალს, როგორც წესი, იძლეოდა მძიმე წონის მოკრივეთა შეხვედრები. დემპსის შემდეგ საჭირო იყო ახალი „ვარსკვლავის" აღმოჩენა, მაგრამ ასეთი არსად ჩანდა. ჯეკობსის გაავთრებას საზღვარი არა ჰქონდა, სანამ ჰორიზონტზე არ გამოჩნდა ჯო ლუისი. გაქნილი მაიკი ახლა კი დატრიალდა, და მალე 21 წლის ზანგმა ლუისმა ჩიკაგოში 60.000 მაყურებლის თვალწინ მე-8 რაუნდში დაანოკაუტა ბრედლოკი. ჯო ლუისი გახდა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი. მაიკ ჯეკობსმა „შეუდარებელი შავი ბომბარდირის" სახელით შემოიარა მსოფლიოს ყველა განთქმული რინგი. მაგრამ დრო თანდათან გადიოდა. გამოჩნდნენ ახალი რიკარდები და ჯეკობსები და ნამდვილებს მოუხდათ მათთვის გზის დათმობა.

დღეს ამერიკული კრივის, სადაც „იჭედება" და ქრება მსოფლიო ჩემპიონები, პატრონია მილიარდერი ჯიმ ნორისი. იგი განაგებს „ინტერნეიშნლ ბოქსინგ კლაბს", მედისონ სკვერ გარდენის სტადიონს და ათასობით დიდ დარბაზს ჩიკაგოში, დეტროიტში, სენ-ლუიში. ფილადელფიაში და სხვ. ჯიმ ნორისს თავის ბრჭყალებში ჰყავს მოქცეული თითქმის ყველა მსოფლიო ჩემპიონი.

უკანასკნელ ხანებში დიდი აურზაური გამოიწვია ამერიკულ კრივში არსებული ბნელი საქმეების გამომჟღავნებამ (ტოტალიზატორი, სპორტსმენთა შესყიდვა, ფიქტიური ბრძოლები და სხვ). მასთან დაკავშირებით ნორისმა ედგარ გუვერს (გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი) შესთავაზა „ინტერნეშნლ ბოქსინგ კლაბის" დირექტორის პოსტი. ნორისი უშეცდომოდ მოქმედებდა, მას სჭირდებოდა ისეთი ადამიანი, რომელიც ასწევდა მისი ორგანიზაციის პრესტიჟს. ხარჯს კი იგი რასაკვირველია არ მოერიდებოდა. გუვერს შესთავაზეს ჯამაგირი წელიწადში 100.000 დოლარი.

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი იძულებული გახდა უარი ეთქვა ამ სასარგებლო საქმეზე. ამერიკის მთავრობამ მას წინადადება მისცა აერჩია ორში ერთი: ან გამხდარიყო ათასგვარი მაქინატორებისა და განგსტერების მფარველი, ან დარჩენილიყო „ამერიკული დემოკრატიის" გუშაგად. მან მართალია, უგულოდ, მაგრამ მაინც უკანასკნელი აირჩია.

მაგრამ ნორისს ახლა ახალი საზრუნავი გამოუჩნდა. როგორც ცნობილია, „ინტერნეშნლ ბოქსინგ კლაბის" პროგრამას სისტემატურად გადასცემენ ტელევიზორით. ამაში ნორისი იღებს ფულს. მაგრამ დიუმონის სატელევიზორო ცენტრი მომთხოვნია. მას სურს მხოლოდ „ვარსკვლავები" და ნორისიც შეძლებისდაგვარად აკმაყოფილებს, ყოველ შემთხვევაში აკმაყოფილებდა მას.

აი, როგორი „ორგანიზატორები" განაგებენ ამერიკულ კრივს.

შ. გუგეშაშვილი

სპორტული ქრონიკა

ხაშურის მოსწავლე კალათბურთელთა სარაიონო პირველობაში მონაწილეობდა გოგონათა და ჭაბუკთა 7-7 გუნდი.

გოგონათა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა I საშუალო სკოლის კალათბურთელთა კოლექტივი. ჭაბუკთა შორისაც უძლიერესი იყო ამავე სკოლის გუნდი.

ნ. ნოზაძე

ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით იტალიაში წელს გაიმართება ჭაბუკთა გუნდების ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ განსაზღვრა მომავალ შეჯიბრებათა ჩატარების ადგილები — რომი, ფლორენცია და ბოლონია. განაცხადები ტურნირში მონაწილეობისათვის წარმოადგინეს: ბელგიამ, ბულგარეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, საფრანგეთმა, რუმინეთმა, იტალიამ, ლუქსემბურგმა, ავსტრიამ, დასავლეთ გერმანიამ, ესპანეთმა, შვეიცარიამ, ჩრდილო ირლანდიამ და საარის ოლქმა.

ფიფა-მ შეიტანა არსებითი ცვლილებები თამაშების ჩატარების წესში. ყოველ დასახელებულ ქალაქში გაიმართება შეხვედრები ერთ-ერთი რომელიმე ჯგუფის გუნდებს შორის. ჯგუფებში გამარჯვებულები ჩემპიონის გამოვლინებისათვის ერთმანეთს არ შეხვდებიან. ამ გადაწყვეტილების აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ხაზი გაესვას ჭაბუკთა შეჯიბრების განსაკუთრებულ ხასიათს და სპორტული მეგობრობის სულისკვეთებას.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო". ტელეფონები:
რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00111